



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/115

ქ. თბილისი

10 მაისი 2018

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტთან „რეგიონალური კვლევების ცენტრის“ შექმნისა და
მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ
ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილის 2018 წლის 3 მაისის №01-09-
33/2131 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 10 მაისის №01-05-
02/08 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა
საბჭომ დაადგინა:

1. სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებითი „რეგიონალური
კვლევების ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული
ცენტრი და მისი დებულება;

3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგეს პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილი;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6),

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი



გ. სალუქვაძე